# 1

# ქართული

## მოსწავლის წიგნი

ბაკურ სულაკაური
მარინა ბედოშვილი
თინათინ კუხიანიძე

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



# სარჩევი

## თავი 1. სახლი


**სასაუბრო:** ოჯახი . . . . . . 6
**სასაუბრო:** სახლი, საოჯახო ნივთები . . 7
**ასოები: ა, ი, ი, მ, ს.** აი ია. . . . . . 9
**ასო: დ.** მიმი . . . . . . 10
**ასო: ე.** დედა და მამიდა . . . . . . 11
**ასო: ო.** სამი ასო . . . . . . 12
**ასო: რ.** მაია . . . . . . 13
**ასო: ნ.** . . . . . . 14
**ასო: თ.** მათე. . . . . . 15
**ასო: ვ.** დედა მოვიდა . . . . . . 16
**ასო: უ** . . . . . . 17


## თავი 2. გარემო


**სასაუბრო:** სკოლა, ქუჩა . . . . . . 19
**ასო: კ.** ნიკა მაიასთანაა . . . . . . 21
**ასო: ლ.** მაიას სკოლა . . . . . . 22
**ასო: გ.** გაკვეთილის მერე . . . . . . 23
**ასო: ქ.** სკოლის მერე . . . . . . 24
**ასო: შ.** სკვერში . . . . . . 25
**ასო: ჩ.** შინისაკენ . . . . . . 26
**ასო: ტ.** ტაქსი. . . . . . 27
**ასო: ბ.** საჩუქარი. . . . . . 28
**ასო: ფ.** გიგი ჩამოვიდა. . . . . . 29


## თავი 3. ნივთები


**სასაუბრო:** მაღაზია . . . . . . 31
**სასაუბრო:** საჭმელი. . . . . . 32
**ასო: ზ.** გიგის მეგობრები . . . . . . 33
**ასო: ყ.** ნაყინი. . . . . . 34
**ასო: ღ.** მაღაზიაში . . . . . . 35
**ასო: ხ.** სახელოსნოში. . . . . . 36
**ასო: წ.** წვენი. . . . . . 37
**ასო: პ.** მათე . . . . . . 38
**ასოები: ძ, ჰ.** თალგამი. . . . . . 39
**ასო: ჭ.** მაიას წერილი. . . . . . 41
**ასო: ჟ.** საუზმე. . . . . . 42
**ასო: ც.** მზადება . . . . . . 43
**ასო: ჯ** . . . . . . 44
ქართული ანბანი. . . . . . 45
ტყეში. . . . . . 46


## თავი 4. დრო


წელიწადის დროები
ი. გოგებაშვილის მიხედვით. . . . . . 49
**სასაუბრო:** ზამთარი . . . . . . 51
ნაძვის ხეო გ. ჭიჭინაძე . . . . . . 52
თოვლის პაპა გაპარულა
ლ. ჭიჭინაძის მიხედვით. . . . . . 53
**სასაუბრო:** გაზაფხული . . . . . . 55
სად არიან წელიწადის დრონი გ. ჭიჭინაძე . . 56
ზამთარი და ენძელა
ი. გოგებაშვილის მიხედვით . . . . . . 57
სურათების აღწერა . . . . . . 58
**სასაუბრო:** მზე, მთვარე,
ვარსკვლავები . . . . . . 59
მზე დედაა ჩემი . . . . . . 60
ალექსის სიზმარი
თ. ლომაძის მიხედვით . . . . . . 61
წვიმა ც. ხოცუაშვილი . . . . . . 62
**სასაუბრო:** ზაფხული . . . . . . 63
**სასაუბრო:** დღე, ღამე,
კვირის დღეები. . . . . . 64


## თავი 5. ცხოველები


**სასაუბრო:** ზოოპარკი . . . . . . 66
ილო ზოოპარკში თ. ნადირაძე . . . . . . 67
მხიარული კარუსელი მ. მიქელაძე . . . . . . 68
**სასაუბრო:** შინაური ფრინველები . . . . 70
**სასაუბრო:** შინაური ცხოველები . . . . . 71
ყველაფერი ყირამალა მ. მიქელაძე. . . . . . 72
საქათმეში ი. მალაციძის მიხედვით . . . . . . 74
**სასაუბრო:** გარეული ცხოველები . . . . 76
**სასაუბრო:** გარეული ფრინველები . . . 77
კუ და კურდღელი ეზოპეს მიხედვით . . . . . . 78
მოდი, ვნახოთ ვენახი ხალხური . . . . . . 80
ორი მომღერალი ქ. ჭილაშვილი . . . . . . 82

**სასაუბრო:** ცირკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 84
ცირკში ც. ხოცუაშვილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 85
**სასაუბრო:** მწერები. . . . . . . . . . . . . . . . . . 86
ჭრიჭინა და ჭიანჭველა . . . . . . . . . . . . . . . . . . 87

## თავი 6. ჯანმრთელობა

**სასაუბრო:** შეგრძნებები . . . . . . . . . . . . . 90
**სასაუბრო:** ექიმთან. . . . . . . . . . . . . . . . . . 91
ასი კილო ნაყინი მ. მიქელაძე . . . . . . . . . . . . . . . 92
**სასაუბრო:** ვარჯიში და
ჯანმრთელობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 94
დღეგრძელობის წამალი . . . . . . . . . . . . . . . . . 95

## თავი 7. არდადეგები

**სასაუბრო:** ტყე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 97
**სასაუბრო:** მინდორი და ყვავილები. . . 98
ბაიას ყვავილები
გ. შატბერაშვილის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . 99
პატარა მონადირე მ. მიქელაძე . . . . . . . . . . . 101
სურათების აღწერა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 103
**სასაუბრო:** სოფელი. . . . . . . . . . . . . . . . . 104
მიმიხარია სოფლისკენ ც. ხოცუაშვილი . . . . 105
ბებოსთან თ. ერისთავისა და
ე. ბერძენიშვილის მიხედვით . . . . . . . . . . . . . 106
**სასაუბრო:** მოგზაურობა . . . . . . . . . . . 108

# თავი 1-ლი



# სახლი

## აქ შეისწავლი...

**სასაუბრო:** ოჯახი

**სასაუბრო:** სახლი, საოჯახო ნივთები

- ასოები: ა, ი, ი, მ, ს. აი ია
- ასო: დ. მიმი
- ასო: ე. დედა და მამიდა
- ასო: ო. სამი ასო
- ასო: რ. მაია
- ასო: ნ.
- ასო: თ. მათე
- ასო: ვ. დედა მოვიდა
- ასო: უ.

# სასაუბრო: ოჯახი

- გაიცანი წიგნის მთავარი პერსონაჟები.



დედა



მამა



გიგი



მათე



მაია

მიმი

- ისაუბრე შენს ოჯახზე.

**ერთგული პატარა ქალი**
იაკობ გოგებაშვილი

# სასაუბრო: სახლი, საოჯახო ნივთები



სახლი



სახურავი



ჭიშკარი



სავარძელი



ტუმბო



მაგიდა



კარი



დივანი



საწოლი



ფანჯარა

- ჩამოთვალე სხვა საოჯახო ნივთები.

**სამი გოჭი**
ზღაპარი

ა



ატამი



ალუბალი



ასკილი

ი



ია



ირემი



იხვი

მ



მზე



მარწყვი



მაიმუნი

ს




საათი



სკამი



სათვალე

- ჩამოთვალე ამ ასოებზე დაწყებული სხვა სიტყვები.



მაია



მაიას მამა



მიმი




## აი ია

 – მამა, აი ია.

 – ის მაიას მამაა.

# დ

მამიდა
მ ა მ ი დ ა






## მიმი

 – მამა, მიმი სადაა?
 – აი მიმი და მამიდა.

**წაიკითხე**

| | |
|---|---|
| და | მამა მიდის. |
| დიდი | მამიდა მიდის. |
| მადა | და დიდია. |
| მამიდა | მამიდა მამის დაა. |



დედა

დ ე დ ა

ე




# დედა და მამიდა

 – ეს მამიდა ესმაა.

 – დედა სადაა?

**წაიკითხე**

| | |
|---|---|
| დიდედა | დეიდა დედის დაა. |
| დეიდა | დიდედა დედის დედაა. |
| მედდა | ეს მედეაა. |
| მედეა | მედეა მედდაა. |

# ო

ოდა

ო დ ა






## სამი ასო

 – მაია, ამოდი, მამა მოდის!

 – აი, სამი ასო: ა, ი, მ.

**წაიკითხე**

| | | | |
|---|---|---|---|
| ასო | სოდა | მოდა | სოიო |



ირემი

ი რ ე მ ი

რ




# მაია

 – მაია, მოდი, რა!

მაიას არ ესმის.

 – ეს რა არის?

 – ეს არის ასო რ.

**წაიკითხე**

| | |
|---|---|
| ისარი | ეს დიდი ორმოა. |
| ირემი | |

# ნ

ნიორი

ნ ი ო რ ი






 – ნინო, მე ნიორი მინდა.

 – დედა, მე ნიორი არ მინდა.

 – ეს რა არის?

 – ეს რა არის?

**წაიკითხე**

| | |
|---|---|
| ენა | ნინო მაიას დედაა. |
| ნარდი | ნოდარი მაიას მამაა. |
| მდინარე | |